ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N37

2019 წლის 31 იანვარი
ქ. ქობულეთი

## სს ,,სილქნეტი‘‘-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს ,,სილქნეტი‘‘-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N269-279-ის მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძებზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს ,,სილქნეტმა‘‘ უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე      დ.მჭედლიშვილი




დასამონტაჟებელია დროებ კაბელი
გარე განათების 17 ც ბოძზე

- არსებული ჭა
- შემყვანი
- არსებული სატ. კანალიზაცია
- ჩასართავი ობიექტი
- არსებული ODF
- დროებ კაბელი
- არსებული განათების ბოძი
- ODF საპროექტო ოდფ

ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის ქუჩა N 269-დან N279-მდე, მიმდებარედ, mia (@MIA-1932-ქობულეთი 41.84196 41.77699)-ის GPON-ის ქსელში ჩართვა

| | | | |
|---|---|---|---|
| სახაზო ნაგებობები | CRM ID: | ფურცლები | გვ |
| | 198435 | 1 | 1 |
| სანებართვო ნახაზი | სს. სილქნეტი თბილისი 9/18/2018 | | |

ა. ალუაშვილი
ნ. ჯანაშვილი